

სკოპინგის დასკვნა N 47

საქმიანობის დასახელება: მეფრინველეობის ფერმა (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის);

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯი პი პი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 13.06.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჯი პი პის“ (ს/კ 405269766) მიერ წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში მეფრინველეობის ფერმის (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, აღნიშნული პროექტი ასევე წარმოდგენილი იყო 2022 წლის 8 აპრილს. 2022 წლის 8 აპრილს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი იყო სკოპინგის ანგარიშში აღწერილი ინფრასტრუქტურის ნაწილი. გამოვლენილ ფაქტზე რეაგირების მიზნით ინფორმაცია გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე დადგინდა, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი იყო 6 საფრინველე შენობა, ასევე მიმდინარეობდა 2 შენობის მოწყობის სამუშაოები. გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტზე, დეპარტამენტის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (№065275). ამასთან - ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რეალობა განსხვავდებოდა სკოპინგის ანგარიშში მითითებული ინფორმაციისგან სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ და კომპანიას დაევალა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა.

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯი პი პიმ“ განახლებული სკოპინგის ანგარიში, ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოადგინა 2022 წლის 13 ივნისს, საიდანაც დადგინდა რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირებისა და სამართალდარღვევის გამოვლენის შემდგომ კომპანიამ კვლავ განახორციელა საწარმოს მოწყობითი სამუშაოები, მათ შორის მოაწყო 8 საფრინველე. აღნიშნულ ფაქტზე რეაგირების მიზნით კვლავ გადაეგზავნა ინფორმაცია სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. 2022 წლის 24 ივნისს, დეპარტამენტის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (№065277).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „ჯი პი პის“ მიერ მეფრინველეობის ფერმის (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) ექსპლუატაცია დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე

(ს/კ: 67.12.43.000.021). წარმოდგენილი ელექტრონული ფაილების მიხედვით, შერჩეული ნაკვეთის GPS კოორდინატებია: X-446931.88, Y-4643457.20; X-447266.16, Y-4643456.52; X-447266.96, Y-4642936.85; X-447097.22, Y-4642803.23; X-446841.18, Y- 4642678.14. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, უახლოესი სადგომი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 250 მეტრით, ხოლო საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი შენობა-ნაგებობა ფიქსირდება დაახლოებით 14 მეტრში. მანძილი საფრინველეებიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. მტკვარი) შეადგენს 350 მეტრს.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების, მათ შორის პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით. **მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე უმოქმედობის ალტერნატივა დასაბუთდეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე.** ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებიდან (I; II; III) შესაძლო ეკონომიკური განსახლების რისკების, ასევე გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების გაზრდის ალბათობის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას, რომელიც მდებარეობს სოფ. მეტეხში. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, შერჩეული ადგილმდებარეობის უპირატესობას წარმოადგენს ასევე ტერიტორიაზე უკვე მოწყობილი ფერმის ინფრასტრუქტურა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს შერჩეული ალტერნატივის დასაბუთებად (კანონდარღვევით განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით). **მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები, ხოლო თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული განხილული იქნეს ფერმის ალტერნატიულ ტერიტორიაზე განთავსების საკითხი.**

მეფრინველეობის ფერმის ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: 8 ერთეული საფრინველე (თითოეული ზომით - 100x20 მ); საგენერატორი; ავტოსადგომები; გამათბობელი სისტემის საქვაბე; ასევე საოფისე, სასაწყობე და დაცვის შენობები. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საფრინველეების სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ დამხმარე ნაგებობების ინტერიერის მოწყობა-მოპირკეთება, საჭირო დანადგარების (გათბობის სისტემა, სავენტილაციო სისტემა და სხვ) მონტაჟი, ტერიტორიის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და წყალმომარაგებით, ასევე დროებითი კონტეინერების გატანა, ტერიტორიის დასუფთავება და მოწესრიგება.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, ფერმაში წიწილების ინკუბაცია გათვალისწინებული არ არის. დაგეგმილია წიწილების შეყვანა (სოფ. ნოსტედან და ბარნაბაანთკარიდან) და გაზრდა (35-42 დღემდე), ხოლო შემდგომ შპს „ჯი პი პის“ არსებულ სასაკლაოში გადაყვანა. შემდგომი ციკლის დაწყებამდე გათვალისწინებულია საფრინველეების დასუფთავება (შენობიდან სკორეს და ნახერხის ნარევის გატანა, საფრინველეების რეცხვა/დეზინფექცია). ფერმაში დაგეგმილია თვეში 600-700 ტ საკვების გამოყენება, რომელიც შეტანილი იქნება მზა სახით და ჩაიტვირთება საფრინველეების მიმდებარედ დამონტაჟებულ სილოსებში (თითოეულის მოცულობა - 15 ტ, სულ 8 სილოსი). საფრინველე აღჭურვილი იქნება ავტომატური საკვებდამრიგებელი და დაწყურების სისტემით. წიწილების ზრდისთვის საჭირო ტემპერატურის შექმნის მიზნით საფრინველეები აღჭურვილი იქნება („Thermoblock Heating unit 500 kha-ის“) ქვანახშირზე მომუშავე გამათბობელი სისტემით

(გამოიყენება - 915 ტ/წელ ქვანახშირი). საფრინველეების ვენტილაციისთვის გათვალისწინებულია „AYTAV-ის“ ფირმის სავენტილაციო სისტემის მოწყობა. გაგრძელების სისტემებისთვის გამოყენებული იქნება ბრუნვითი წყალმომარაგება. ელ. ენერჯის შეწყვეტის შემთხვევაში გამოყენებული იქნება დიზელ-გენერატორი, რომელიც განთავსდება ფერმის ტერიტორიაზე დახურულ შენობაში. ექსპლუატაციის ეტაპზე მეფრინველეობის ფერმა იმუშავებს 320 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. დასაქმდება 45 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფერმაში წყალი გამოყენებული იქნება: სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით; ფრინველის დარწყულების; ქვანახშირზე მომუშავე გამათბობლიდან გაფრქვეული აირების სველი გამწმენდის სისტემისთვის; ტერიტორიის დასუფთავებისა და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნით (ფერმაში სულ გამოყენებული იქნება დაახლოებით - 23 106 მ³/წელ). სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ფერმის წყალმომარაგება დაგეგმილია - მიწისქვეშა წყლით, ჭაბურღილის საშუალებით. დოკუმენტის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვილი იქნა რეზერვუარში, რომელიც ფერმის ექსპლუატაციაში გაშვებამდე საასენიზაციო მანქანით გატანილი იქნება უახლოეს საკანალიზაციო კოლექტორში. ექსპლუატაციის დროს სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის („Klaasplast“) საშუალებით (გამწმენდი ნაგებობის წარმადობა - 3,3 მ³/დღე), საიდანაც გაწმენდილი სითხე მიეწოდება 3.2 მ სიღრმისა და 1.5 მ დიამეტრის საკანალიზაციო ჭას (რომელიც ეწყობა ქვიშა-ხრეშოვან ფენილით და დიდი ფრაქციის ხრეშოვანი გრუნტით). ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა მოიცავს: მიმღებ-გამანაწილებელ კამერას; ცხურს (მსხვილი მინარევების მოსაცილებლად); სამსაფეხურიან რეაქტორს; ჰაერით ცირკულირებად ბიოლოგიურ ფილტრს; საკონტაქტო რეზერვუარს; ლამის რეზერვუარს. ფერმის ტერიტორიაზე პოტენციურად დამაბინძურებელი უბნების არარსებობის გათვალისწინებით დაგეგმილი არ არის სანიაღვრე წყლების არინების სისტემების მოწყობა. **წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საფრინველეების დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარეცხი წყლების მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია.**

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ფერმის ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი დავარდნილი (მკვდარი) ფრინველები გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორს ან გაუფრთხილებელი იქნება შპს „ჯი პი პის“ დაგეგმილ ინსინერატორში. დოკუმენტის მიხედვით, ქათმის სკორეს გატანა მოხდება ადგილობრივი ფერმერების მიერ სასუქად გამოყენების მიზნით ან განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. **მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ინფორმაცია ფერმაში წარმოქმნილი სკორეს მართვის საკითხების შესახებ.** სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, გამათბობელ სისტემაში წარმოიქმნება შლამი (3-5 კგ/თვეში), რომელიც შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლების მქონე კონტრაქტორს. სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ასევე ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და

შერბილებისათვის. მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებიდან აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, უსიამოვნო სუნის გავრცელება.

ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გავრცელება დაკავშირებული იქნება გამათბობელი სისტემის მუშაობასთან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირების მიზნით გამათბობელი სისტემა აღჭურვილი იქნება სველი გამწმენდის სისტემებით. მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები, ასევე გამწმენდი სისტემის ეფექტურობა. ფერმის ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება ასევე უსიამოვნო სუნის გავრცელებასთან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ფერმიდან სუნის გავრცელების პრევენციის მიზნით დაცული იქნება შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრული საფრინველების დასუფთავების, დეზინფექციის და ნარჩენების მართვის პირობები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. განცხადებები განთავსებული იქნა კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის პირველ ივლისს სოფ. მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ა/ო „ჯეონეიჩარ კორპორაციის“, შპს „ჯი პი პის“, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის, სოფ. მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და სოფ. მეტეხის მოსახლეობა. საჯარო განხილვის ფარგლებში დაფიქსირებული შეკითხვები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა ფერმის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხებს, სუნის გავრცელების რისკებს, ასევე ადგილობრივების დასაქმებას. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, შპს „ჯი პი პის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ წყალაღება დაგეგმილია ჭაბურღილიდან ან მდ. მტკვრიდან, რაც დაზუსტდება გზმ-ის ეტაპზე, ხოლო ჩამდინარე წყლის მართვის მიზნით პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. დასაქმებულთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობა იქნება. სუნთან დაკავშირებით განიმარტა, რომ სუნის გავრცელების რისკებს შეამცირებს საფრინველების მორეცხვისას გამოყენებული თანამედროვე სტანდარტები და საშუალებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;
- 3.2. **გზმ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება ფერმის ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;**

4. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება;
- საქმიანობის დეტალური აღწერა;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, SHP ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- მეფრინველეობის ფერმის გენერალური გეგმა (შესაბამისი ექსპლიკაციით), სადაც დატანილი იქნება ფერმის შემადგენელი ინფრასტრუქტურული, მათ შორის დამხმარე, ობიექტები, ასევე გარემოს დაბინძურების ძირითადი წყაროები;
- ფერმის ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალით);
- საპროექტო ტერიტორიიდან, მათ შორის ფრინველთა სადგომებიდან, დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდებარეობების მითითებით);
- დაგეგმილი საქმიანობის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ობიექტის განთავსების ალტერნატივების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივების შესახებ დეტალური ინფორმაცია. გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები. თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული გარემოსდაცვითი და

სოციალური კუთხით, განხილული უნდა იყოს ალტერნატიულ ტერიტორიაზე ობიექტის განთავსების საკითხი;

- ინფრასტრუქტურული ობიექტების (მათ შორის დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების), დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა (თითოეული ობიექტის ტექნიკური და ტექნოლოგიური სქემების მითითებით);
- საფრინველების დეტალური აღწერა, მათ შორის: საფრინველების შიდა ტერიტორიის აღწერა; ფრინველებისთვის გამოყენებული საგების და ფერმაში ფრინველთა განთავსების შესაბამისი პირობების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მეფრინველეობის ფერმის გათბობის სისტემის - ფერმაში ტემპერატურის რეგულირების შესახებ. მათ შორის ფერმის ერთიანი გამწოვი/სავენტილაციო და ქვანახშირზე მომუშავე გამათბობელი სისტემის დეტალური აღწერა (ტიპი; პარამეტრები; ეფექტურობა). ამასთან, ფერმის გათბობისთვის ალტერნატიული (გარემოსდაცვითი) მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია, **მათ შორის საწვავად ფრინველის სკორეს გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია;**
- მეფრინველეობის ფერმის ტექნოლოგიური ციკლის და ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ფერმის სამუშაო რეჟიმისა და წლის განმავლობაში განხორციელებული სასიცოცხლო ციკლის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მითითებით);
- ფერმაში საკვების მიწოდება-ტრანსპორტირების, რაოდენობის, საკვების მიმღები სილოსების და ფრინველებისთვის საკვების მიწოდების შესახებ ინფორმაცია;
- **დაზუსტებული ინფორმაცია** მეფრინველეობის ფერმის წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის: წყალმომარაგების სისტემის განლაგებისა და ტექნიკური მონაცემების, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია; ფერმის წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის გამოყენების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს შესაბამისი ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია; ამასთან, **დაზუსტებული ინფორმაცია** ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შესახებ (თვეების მიხედვით აღებული წყლის რაოდენობის და წყალაღების GPS კოორდინატების მითითებით);
- საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია;
- **დაზუსტებული ინფორმაცია**, საფრინველების მორეცხვის/დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარეცხი წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ობიექტებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- **დაზუსტებული ინფორმაცია** საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შესახებ, ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია: საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის; მოწყობის გეგმის; გამწმენდების ტიპის; პარამეტრების; წარმადობის; ტექნოლოგიური სქემისა და გამწმენდის ეფექტურობის შესახებ; ასევე ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობაში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ; დაბინძურებული ჩამდინარე წყლის სავარაუდო შემადგენლობა -

გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები), შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით; გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;

- დაზუსტებული ინფორმაცია ცხიმდამჭერი ნაგებობისა და დაჭერილი ცხიმების მართვის საკითხების შესახებ (მათ შორის: ტიპი; პარამეტრები; ეფექტურობა);
- საკანალიზაციო ჭის შესახებ **დეტალური ინფორმაცია**, შესაბამისი პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია საკანალიზაციო ჭის განტვირთვის პირობებისა და სიხშირის შესახებ;
- **დაზუსტებული ინფორმაცია** ფერმაში წარმოქმნილი სკორეს მართვის საკითხების შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია სკორეს სასუქად რეალიზაციის შესახებ; ინფორმაცია ქათმის სკორეს სასუქად გამოყენების არსებული პრაქტიკის შესახებ; ამასთან **მნიშვნელოვანია დაზუსტდეს** ტერიტორიიდან სკორე გატანილი იქნება საფრინველების დასუფთავებისთანავე თუ დროებით განთავსდება ფერმის ტერიტორიაზე; დაზუსტებული ინფორმაცია თუ რომელ ნაგავსაყრელზე და რა პირობებით გეგმავს კომპანია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სკორეს განთავსებას (არსებობის შემთხვევაში). ამასთან, სკორეს ნაგავსაყრელზე გატანის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს - ინფორმაცია ნაგავსაყრელის ოპერატორ კომპანიასთან შეთანხმების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, გამომდინარე იქიდან რომ ფერმაში გასათბობად გამოყენებულია ქვანახშირი, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ქვანახშირის წვის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის კლასიფიკაციისა და შემდგომი მართვის შესახებ;
- პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ბიოლოგიური ნარჩენის მართვის საკითხები, მათ შორის დაცემული (მკვდარი) ფრინველების და მათი მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ექსპლუატაციის ავარიული (ფრინველების დაავადების/დახოცვის) შეწყვეტის შემთხვევაში შემდგომი ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ფერმის ბიოუსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ფერმიდან ფრინველების გადაყვანის და სკორეს გადატანის შესახებ, სამომხრო მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით) ინფორმაცია, მათ შორის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა და სხვ;
- ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სუნის გავრცელების წყაროების მითითებით;
- ამასთან, ინფორმაცია **საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ** (რაც მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების

მიმართულებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით და სუნის გავრცელებითა მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის დასადგენად;)

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ;
- ინფორმაცია ფერმის ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების და აზრის გათვალისწინების ამსახველი ინფორმაცია.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს: მოსალოდნელი ემისიები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენგეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა; ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები; ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებზე მონიტორინგის გეგმა;
- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- პროექტის ფარგლებში სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (მათ შორის საფრინველების რეცხვა/დეზინფექციის დროს წარმოქმნილი სუნის გავრცელების), შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (ხმაურის წყაროების გენგეგმაზე დატანით);
- პროექტის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხები, შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები (ნარჩენების მართვის გეგმა);
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და გრუნტის ხარისხზე, მათი დაბინძურების საკითხები და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით დამდგარი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ექსპლუატაციის ეტაპზე ტრანსპორტირებით, მათ შორის ქათმების გადამყვანი და სკორეს გადამტანი ტრანსპორტის გადაადგილებით, მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (მათ შორის ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე (შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტის, ისტორიკოსი, არქეოლოგის ჩართულობით). კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა;
- საპროექტო ობიექტის მოსახლეობასთან სიახლოვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნას მოცემული პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების და ზემოქმედების შედეგების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, რომელიც შემუშავდება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის პრაქტიკის გამოყენებით);
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი რეკომენდაციები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემი (ს/კ 67.12.43.02) არასრულია და არ იდენტიფიცირდება საწარმოს ტერიტორია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ არის ზუსტ თანხვედრაში საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, შერჩეული ტექნოლოგიური ალტერნატივის უპირატესობების გათვალისწინებით არ მომხდარა სხვა ალტერნატივასთან მისი შედარება. გზშ-ის ანგარიშის ეტაპზე აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, მნიშვნელოვანია წარმოდგენილ იქნას ტექნოლოგიური ალტერნატივის შედარებითი ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით;
- დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია საფრინველების დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარეცხი წყლების მართვის საკითხების შესახებ, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის მიხედვით, ქათმის სკორეს გატანა მოხდება ადგილობრივი ფერმერების მიერ ნაკვეთების გასანაყოფიერებლად, თუმცა ასევე განხილულია მისი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განთავსება ან რეალიზაცია. გზშ-ის ეტაპზე საჭიროა წარმოდგენილი იქნას ზუსტი ინფორმაცია სკორეს მართვის საკითხების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე, ალტერნატიულ დენის წყაროდ განხილულია დიზელ-გენერატორი. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია დიზელ-გენერატორის შესახებ, ხოლო ტერიტორიაზე დიზელის შენახვის შემთხვევაში - შემნახავი ობიექტისა და შენახვის პირობების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, დაგეგმილია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაცია ასევე წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების სფეროს - შესაბამისად გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის შესახებ, ხოლო გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველში უნდა მიეთითოს ასევე კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი (ქვე)პუნქტი;
- დოკუმენტის შესაბამისად, ქვანახშირზე მომუშავე გამათბობლის გაწმენდის შედეგად. გამათბობელი სისტემის ქვეშ მოთავსებულ ქვიშა-ხრემოვანი ფენის ზედა ნაწილში დაგროვილი შლამი (3-5 კგ/თვეში) ხრემის ფენასთან ერთად ამოღებული და გატანილი იქნება შემდგომი მართვისათვის. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას დაზუსტებული ინფორმაცია ზემოხსენებული შლამის მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ (რაოდენობა, წარმოქმნის ინტენსივობის და საბოლოო განთავსება);
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის ნაკვეთის ფართობი პერსპექტივაში წარმოების კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ფერმის წარმადობის/მწარმოებლურობის შესაძლო გაზრდის/გაფართოების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიში მოიცავს უზუსტობას, კერძოდ - ნარჩენების მართვის გეგმის შესათანხმებლად წარდგენა დაგეგმილია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის“. აღნიშნული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს

დაზუსტებას, ვინაიდან ნარჩენების მართვის გეგმა, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ახალი საფრინველეებისთვის შერჩეული ტერიტორია არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ვიზუალურ-ლანდშაფტური ღირებულებით და ესთეტიკური ხედებით. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია მოსახლეობის საზაფხულო დასასვენებელი სახლები, შესაბამისად გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ვიზუალურ-ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასების საკითხი, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია შპს „ჯი პი პის“ მიმდინარე საქმიანობის მოკლე აღწერის შესახებ, რომლის ანგარიშში ასახვის მიზნობრიობა საჭიროებს დაზუსტებას. მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს უშუალოდ დაგეგმილ საქმიანობაზე და მისი საპროექტო მახასიათებლების აღწერაზე;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გამათბობლების რაოდენობის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს მეფრინველეობის ფერმის ტერიტორიაზე გამოყენებული ქიმიური საშუალებების/ნივთიერებების შესახებ დეტალური ინფორმაცია (სახეობა, რაოდენობა, განთავსება);
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია ცწადპ-ს მართვის შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს, „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების შესაბამისად. დაგეგმილი საქმიანობა შესაბამისობაში უნდა იყოს ზემოაღნიშნულ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზმ-ის ანგარიშში ზედმიწევნით უნდა იქნეს გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნები;

❖ გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯი პი პის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეტეხში მეფრინველეობის ფერმაზე (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის), **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.